საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/8822
14/06/2022

8822-2-03-2-202206140927

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ **ჯაბა ფუტკარაძეს**

ბატონო **ჯაბა,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2022 წლის 31 მაისის №01-01-10/2408 წერილით წარმოდგენილი შპს „ქართული პლასტმასის წარმოების“ განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, თავისუფლების ქ. N71-ში და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო - ჩოხატაური - ოზურგეთი - ქობულეთის საავტომობილო გზის კმ70-ის მიმდებარედ, ს/გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს **10** მეტრის დაშორებით არსებული 5467 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე 1364 კვ. მ. შენობა-ნაგებობის (ს. კ 20.39.01.017) სარგებლობის უფლებით გაცემის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული 5467 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე 1364 კვ. მ. შენობა-ნაგებობისა (ს. კ 20.39.01.017) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge